ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტური ნაშრომების კონკურსი

მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს. მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ბევრი ფუნდამენტური მეცნიერული შედეგი ახლგაზრდა ასაკშია მიღებული, რაც წარმოუდგენელია მეცნიერების მიმართ სტუდენტობის პერიოდში ინტერესის არსებობის გარეშე. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის წესდება სტუდენტური ნაშრომების კონკურსი.

მიზანი

- კრეატიული სტუდენტების მორალური და მატერიალური მხარდაჭერა;
- კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა;
- სტუდენტების ინტერესის გაღვივება უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის საფუძველზე სამეცნიერო–კვლევითი პროექტების განსახორციელებლად;
- მეცნიერული კვლევის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ხელშეწყობა.

მიმართულებები/სექციები

- კონკურსი ჩატარდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემდეგ სექციებად:
- მათემატიკა;
- კომპიუტერული მეცნიერებები;
- ფიზიკა;
- ქიმია;
- ბიოლოგია;
- ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია;
- გეოგრაფია;
- გეოლოგია;
- ინტერდისციპლინური.

პრიზი

- თითოეული სექციის საპრიზო ფონდისთვის გამოიყოს თანხა არანაკლებ ერთი სტუდენტის სწავლის წლიური გადასახადის ოდენობისა;
- სექციების მიხედვით საპრიზო თანხის განაწილების სქემა შესაძლებელია იყოს განსხვავებული.

შეფასება

- ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება სტუდენტური ნაშრომების საკონკურსო კომისია სექციების შესაბამისად;
- განაცხადის შეფასებისას კომისია ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:
    - მეცნიერული სიახლე;
    - ტექნიკური შესრულების ხარისხი;
    - განაცხადის გაფორმება/პრეზენტაცია;
    - შემდგომი განვითარების პოტენციალი;
- კომისია უფლებამოსილია:
    - კონკურსიდან მოხსნას განაცხადი (სათანადო დასაბუთებით);
    - დააზუსტოს შეფასების კრიტერიუმები: დარგობრივი სექცია ადგენს თითოეული კრიტერიუმის წონას დარგობრივი სექციების სპეციფიკის გათვალისწინებით;
    - შეიმუშაოს საპრიზო ფონდის განაწილების სქემა;
- კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით;
- კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საკონკურსო განაცხადი

- დასახელება;
- ავტორ(ებ)ი: გვარი, სახელი, საგანმანათლებლო პროგრამა, CV;
- ანოტაცია (300 სიტყვა);
- საკონკურსო ნაშრომი;
- სად არის გამოქვეყნებული ან მიღებული გამოსაქვეყნებლად;
- ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება (დადასტურება);
- ნაშრომის შესრულებისთვის დახარჯული დრო;
- ნაშრომის ვიდეოპრეზენტაცია (ხანგრძლივობა არაუმეტეს 5 წთ);
- კონკურსანტის მოსაზრება – რატომ უნდა მიენიჭოს პრიზი.

შეზღუდვები

- ერთიდაიგივე პიროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის ავტორი/თანაავტორი;
- განიხილება მხოლოდ ის ნაშრომი,
    - რომელშიც სტუდენტი არის პირველი თანაავტორი;
    - რომელიც გამოქვეყნებულია ან მიღებულია გამოსაქვეყნებლად საკონკურსო განაცხადის ჩაბარების დღემდე გასული ერთი წლის განმავლობაში;
    - რომლისთვისაც სტუდენტს უკვე მიღებული არ აქვს რაიმე სხვა ჯილდო, პრიზი , სტიპენდია.
- კომისია არ განიხილავს განაცხადს, თუ ის წარმოდგენილია:
    - დაგვიანებით;
    - არასრულად.

სტუდენტური ნაშრომების კონკურსის გამოცხადება

კონკურსის გამოცხადება ხდება დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.

გამარჯვებული ნაშრომების პრეზენტაცია

- მოხსენება სამეცნიერო ფორუმზე, მაგ. სემინარზე;
- პოსტერი;
- განთავსება ფაკულტეტის ვებ გვერდზე.